

შპს „ესპანო“
ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის,
რომელიც დასრულდა
2019 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
---	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძვლები	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	8
4. ამონაგები	9
5. მარაგები	9
6. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	9
7. სხვა ხარჯები	10
8. ძირითადი საშუალებები	11
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
10. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12
11. საწესდებო კაპიტალი	12
12. სხვა რეზერვები	12
13. მიღებული სესხები	13
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14
17. პირობითი ვალდებულებები	15
18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც ისინი აუცილებლად მიიჩნევენ ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 3 თებერვალს.

შპს „ესპანო“-ს

დირექტორი:

მიხეილ გაბუნია

მთავარი ბუღალტერი:

ბაკური ჯიმშელეიშვილი

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა
ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც ისინი აუცილებლად მიიჩნევენ ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით, სადაც აუცილებელია გახსნას ინფორმაცია ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და გამოიყენოს მსგავსი პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 3 თებერვალს.

შპს „ესპანო“-ს


დირექტორი:

მიხეილ გაბუნია



მთავარი ბუღალტერი:

ბაკური ჯიმშელეიშვილი



შპს „ესპანო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	438093	622485
სავაჭრო მოთხოვნები	31237	15010
გადახდილი ავანსები	4400	4400
მარაგები	3701740	3503731
სხვა მიმდინარე აქტივები	128801	0
ძირითადი საშუალებები	5086813	4489746
სულ აქტივები	9391084	8635372
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1642183	1259544
საგადასახადო ვალდებულებები	0	79055
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1994790	1531420
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4409451	4630654
სხვა ვალდებულებები	177889	0
სულ ვალდებულებები	8224313	7500673
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1166571	1059499
სხვა რეზერვები	0	75000
სულ საკუთარი კაპიტალი	1166771	1134699
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9391084	8635372

შპს "ესპანო"-ს

დირექტორი:

მიხეილ გაბუნია

მთავარი ბუღალტერი:

ბაკური ჯიმშელიშვილი

შპს „ესპანო“


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	438093	622485
სავაჭრო მოთხოვნები	31237	15010
გადახდილი ავანსები	4400	4400
მარაგები	3701740	3503731
სხვა მიმდინარე აქტივები	128801	0
ძირითადი საშუალებები	5086813	4489746
სულ აქტივები	9391084	8635372
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1642183	1259544
საგადასახადო ვალდებულებები	0	79055
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1994790	1531420
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	4409451	4630654
სხვა ვალდებულებები	177889	0
სულ ვალდებულებები	8224313	7500673
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1166571	1059499
სხვა რეზერვები	0	75000
სულ საკუთარი კაპიტალი	1166771	1134699
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9391084	8635372


შპს "ესპანო"-ს
დირექტორი:



მიხეილ გაბუნია

მთავარი ბუღალტერი:

ბაკური ჯიმშელეიშვილი



8 - 20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ესპანო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ამონაგები	5445168	5983128
მარაგების ხარჯი	-3790395	-3965375
დასაქმებულთა ანაზღაურება	-294585	-285618
ცვეთა და ამორტიზაცია	-137269	-134763
საპროცენტო შემოსავალი	10	0
საპროცენტო ხარჯი	-486268	-421581
იჯარის ხარჯი	-89288	-89288
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-156564	-164738
საოპერაციო მოგება	490809	921765
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-383463	-193639
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-274	-18324
მოგება/(ზარალი)	107072	709802

შპს "ესპანო"-ს

დირექტორი:

მიხეილ გაბუნია

მთავარი ბუღალტერი:

ბაკური ჯიმშელეიშვილი


შპს „ესპანო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ამონაგები	5445168	5983128
მარაგების ხარჯი	-3790395	-3965375
დასაქმებულთა ანაზღაურება	-294585	-285618
ცვეთა და ამორტიზაცია	-137269	-134763
საპროცენტო შემოსავალი	10	0
საპროცენტო ხარჯი	-486268	-421581
იჯარის ხარჯი	-89288	-89288
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-156564	-164738
საოპერაციო მოგება	490809	921765
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-383463	-193639
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-274	-18324
მოგება/(ზარალი)	107072	709802


შპს "ესპანო"-ს
დირექტორი:



მიხეილ გაბუნია

მთავარი ბუღალტერი:

ბაკური ჯიმშელიშვილი



შპს „ესპანო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	200	100000	349697	449897
წლის სრული ცვლილება		-25000	709802	684802
2018 წლის 31 დეკემბერი	200	75000	1059499	1134699
წლის სრული ცვლილება		-75000	107072	32072
2019 წლის 31 დეკემბერი	200	0	1166571	1166771

შპს "ესპანო"-ს

დირექტორი:

მიხეილ გაბუნია

მთავარი ბუღალტერი:

ბაკური

ჯიმშელეიშვილი

შპს „ესპანო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	200	100000	349697	449897
წლის სრული ცვლილება		-25000	709802	684802
2018 წლის 31 დეკემბერი	200	75000	1059499	1134699
წლის სრული ცვლილება		-75000	107072	32072
2019 წლის 31 დეკემბერი	200	0	1166571	1166771

შპს "ესპანო"-ს

დირექტორი:

მიხეილ გაბუნია

მთავარი ბუღალტერი:

ბაკური

ჯიმშელეიშვილი



8 - 20 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ესპანო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	107 072	709 802
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	137 269	134 763
გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული ზარალი	18 084	-
საპროცენტო შემოსავალი	(10)	-
საპროცენტო ხარჯი	486 268	421 581
წმინდა მოგება (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	383 463	193 639
	1 132 146	1 459 785
შემცირება (გაზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:		
მარაგები	(198 008)	(849 994)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(16 227)	(14 033)
შემცირება (გაზრდა) შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(289 548)	196 797
საგადასახადო ვალდებულებები	(207 856)	620 465
	420 507	1 413 020
გადახდილი პროცენტი	(486 268)	(421 581)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(65 761)	991 439
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(18 084)	54 829
გაცემული სესხები	10	-
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები	(18 074)	54 829
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	1 850 727	1 064 531
გადახდილი სესხები	(1 955 170)	(1 659 501)
ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები	(104 443)	(594 970)
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები	(188 277)	451 298
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	622 485	191 524
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	3 886	(20 337)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	438 093	622 485

შპს "ესპანო"-ს

დირექტორი:

მიხეილ გაბუნია

მთავარი ბუღალტერი:

ბაკური ჯიმშელაიშვილი

შპს „ესპანო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	107 072	709 802
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	137 269	134 763
გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული ზარალი	18 084	-
საპროცენტო შემოსავალი	(10)	-
საპროცენტო ხარჯი	486 268	421 581
წმინდა მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	383 463	193 639
	1 132 146	1 459 785
შემცირება (გაზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:		
მარაგები	(198 008)	(849 994)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(16 227)	(14 033)
შემცირება (გაზრდა) შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(289 548)	196 797
საგადასახადო ვალდებულებები	(207 856)	620 465
	420 507	1 413 020
გადახდილი პროცენტი	(486 268)	(421 581)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	(65 761)	991 439
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(18 084)	54 829
გაცემული სესხები	10	-
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული (გასული) წმინდა ფულადი სახსრები	(18 074)	54 829
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	1 850 727	1 064 531
გადახდილი სესხები	(1 955 170)	(1 659 501)
ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები	(104 443)	(594 970)
გაზრდილი (შემცირებული) წმინდა ფულადი სახსრები	(188 277)	451 298
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	622 485	191 524
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	3 886	(20 337)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	438 093	622 485

შპს "ესპანო"-ს

დირექტორი:

მიხეილ გაბუნია

მთავარი ბუღალტერი:

ბაკური ჯიმშელეიშვილი



8 - 20 გვერდებზე წამოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ესპანო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ესპანო“ (შემდგომში „კომპანია“) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად 2012 წლის 18 აპრილს, საიდენტიფიკაციო ნომრით - 421268256. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი #21 ა, ხოლო ფაქტიური საქმიანობის მისამართებია: ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი #21 ა; ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #124.

კომპანია წარმოადგენს კომერციულ დაწესებულებას, რომელიც ვაჭრობს სამშენებლო მასალებით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 ლარს და 100%-იანი წილი განაწილებულია შემდეგ მფლობელებს შორის:

ზვიადი ბიბილეიშვილი (პ/ნ 55001006008) – 50%;

აკაკი ლექვინაძე (პ/ნ 55001001470) – 50%.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად. მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ერთ ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - რაც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. კომპანიის ხელმძღვანელობას არ აქვს არსებითი უარყოფითი შედეგების მოლოდინი საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, კომპანიის საქმიანობის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი

შპს „ესპანო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

დაბეგვრა

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არ არის. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებსა და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ამონაგები

ამონაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი დასაბეგრი რეალიზაციიდან	5445168	5983128
	5445168	5983128

5. მარაგების ხარჯი

მარაგები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საქონელი	3698736	3501346
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3004	2385
	3701740	3503731

მარაგების ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
მარაგის ცვლილება	-198008	-849994
წლის განმავლობაში შესყიდული მარაგი	3988404	4815369
წლის მარაგის ხარჯი	3790395	3965375

6. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
თანამშრომელთა ხელფასი და სარგებელი	(294585)	(285618)
	(294585)	(285618)

შპს „ესპანო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

7. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
სოციალური დანარიცხები	3960	0
საიჯარო ქირა	89288	89288
საოფისე ინვენტარი	0	685
კომუნიკაციის ხარჯები	2240	1737
კომპიუტერის ხარჯები	0	444
სხვა საგადასახადო ხარჯი	46127	45352
ბანკის საკომისიოს ხარჯი	23209	11668
წყლის ხარჯი	1000	1284
ბუნებრივი აირის ხარჯი	3123	2247
ელექტრო ენერგიის ხარჯი	9207	10490
დასუფთავების ხარჯი	5278	1519
დაცვის მომსახურების ხარჯი	4365	4384
ტრანსპორტირების ხარჯი	12161	12419
საკანცელარიო ხარჯი	1610	2687
საოფისე ხარჯები	3111	2409
ავტომობილის მიმდინარე რემონტის ხარჯი	533	7004
ფიზიკური პირების მიერ გაწეული სხვადასხვა მომსახურება (გადასახადის მოწმობის არ მქონე)	0	17469
თი ბი სი - ტერმინალებიდან ჩამოჭრილი საკომისიო	11581	7708
საქართველო - ტერმინალებიდან ჩამოჭრილი საკომისიო	8454	8466
საწვავის ხარჯი	10148	13470
სხვადასხვა ხარჯი	10457	13296
სულ:	245852	254026

შპს „ესპანო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა	მანქანა-დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს		87935	4248334	184865	129691	4650825
შემოსვლა		45226		38614	20027	103866
გასვლა					-68967	-68967
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	0	133160	4248334	223479	80751	4685724
შემოსვლა	356270	223821		45779	108467	734336
გასვლა						0
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	356270	356981	4248334	269257	189218	5420060
დაგროვილი ცვეთა						
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს			-21242	-34553	-19559	-75354
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა			-84967	-37357	-12440	-134763
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა					14138	14138
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	0	0	-106208	-71910	-17860	-195978
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა			-84967	-39262	-13040	-137269
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა						0
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	0	0	-191175	-111171	-30900	-333247
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	0	133160	4142125	151569	62890	4489746
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	356270	356981	4057159	158086	158317	5086813

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	31237	-9507
სხვა მოთხოვნები		24517
	31237	15010

სავაჭრო მოთხოვნები არის მიმდინარე, არავადაგადაცილებული და არაგაუფასურებული.

10. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული სალაროში	391230	74030
ფული რეზიდენტ ბანკში	46863	548455
	438093	622485

11. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი დაფუძნებისას, 2012 წლის 17 აპრილს, განისაზღვრა 200 ლარის ოდენობით, კაპიტალში ფულადი თანხის შემონატანის სახით და მას შემდეგ მას ცვლილება არ განუცდია. შესაბამისად, საწესდებო კაპიტალის ოდენობა 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 200 ლარს.

12. სხვა რეზერვები

2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა რეზერვების ნაშთი, 75 ათასი ლარის ოდენობით, წარმოადგენს მფლობელი ფიზიკური პირების დროებით შემონატანს, ლიკვიდობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

13. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	31.დეკ.19 სულ
საქართველოს ბანკი - სესხი N 4850735 (\$)	7.00%	11.10.2027	483631	4409451	4893082
საქართველოს ბანკი - სესხი N 5940680 (ლარი)	11.50%	10.01.2020	63641		63641
საქართველოს ბანკი - სესხი N 6082866 (ლარი)	13.20%	25.02.2020	315504		315504
საქართველოს ბანკი - სესხი N 6246164 (ლარი)	12.50%	25.02.2020	424983		424983
საქართველოს ბანკი - სესხი N 6433712 (ლარი)	12.50%	25.02.2020	111211		111211
საქართველოს ბანკი - სესხი N 6433693 (EUR)	6.50%	25.02.2020	309050		309050
საქართველოს ბანკი - სესხი N 6548219 (\$)	6.50%	25.02.2020	286770		286770
			1994790	4409451	6404240

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	31.დეკ.18 სულ
საქართველოს ბანკი - სესხი N 3698789 (\$)	7.00%	22.01.2019	140095		140095
საქართველოს ბანკი - სესხი N 4010753 (\$)	7.00%	03.06.2019	173862		173862
საქართველოს ბანკი - სესხი N 4850735 (\$)	7.00%	11.10.2027	421796	4567013	4988809
საქართველოს ბანკი - სესხი N 5243913 (\$)	7.00%	12.08.2019	184308		184308
საქართველოს ბანკი - სესხი N 5940680 (ლარი)	11.50%	10.01.2020	611359	63641	675000
			1531420	4630654	6162074

კომპანიის ქონებასა და კომპანიის საწესდებო კაპიტალში დამფუძნებლის წილებზე პირველი რიგის მოგირავნე არის სს „საქართველოს ბანკი“.

გადასახდელი პროცენტი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 486268 და 421581 ლარს.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	1642183	1259544
ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	177889	0
გადასახდელი ხელფასები	(4400)	(4400)
საგადასახადო ვალდებულებები	79055	(128801)
	1894727	1126343

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

- ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი
- გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი
- დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებული მხარეების შენიშვნა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგი სახით:

	კავშირი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიღებული სესხები		0	75000
აკაკი ლექვინაძე	დამფუძნებელი	0	75000

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდა დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული შემდეგი ოპერაციები:

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2019 წელს შეადგინა 60 ათასი ლარი. ასევე, 60 ათასი ლარი შეადგინა 2018 წელსაც.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კორონა ვირუსი (COVID-19)

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მომხდარა 2020 წლის იანვრამდე. აქედან გამომდინარე, კორონავირუსის ეფექტი წარმოადგენს არამაკორექტირებელ მოვლენას ფასს - ების შესაბამისად. კორონავირუსის გავრცელებას ვერ ექნება გავლენა პროგნოზებსა და დაშვებებზე, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. კორონავირუსის შედეგები შეიძლება იყოს ძალიან ფართოდ გავრცელებული და ბევრ ინდუსტრიას შეეხო. კორონავირუსმა შესაძლოა გავლენა იქონიოს თითქმის ყველა სექტორში მოღვაწე საწარმოზე შემდგომი ზემოქმედების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო;
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე;

- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალდებულო ინსტრუმენტების ჩათვლით;
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამინებისა და საქონლის გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია, რადგან დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარება და ეფექტი ცვალებადია.

17. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და მიღებულ სესხებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელთა ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება მიღებული სესხების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ცვდება
შენობა	50
მანქანა-დანადგარები	5-10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავტომობილები	5-10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია მიმოხილავს საკუთარ მატერიალურ აქტივებს, რათა განსაზღვროს, ადგილი ხომ არ აქვს გაუფასურების ინდიკატორებს. თუ არსებობს ასეთი სახის ინდიკატორი, ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება შეფასებულია მისი გაუფასურების ზარალის (არსებობის შემთხვევაში) გასაანგარიშებლად. თუ შეუძლებელია აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება, მაშინ კომპანია აფასებს ფულის მაგენერირებელ იმ ერთეულს, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი.

თუ გონივრულად და თანმიმდევრულად არის შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი, ადმინისტრაციული აქტივებიც მიეკუთვნება ფულის მაგენერირებელ ერთეულს, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მიკუთვნება ხდება ფულის მაგენერირებელ ყველაზე მცირე იმ ერთეულზე, რომლისთვისაც არის გონივრულად და თანმიმდევრულად შესაძლებელი განისაზღვროს გადანაწილების საფუძველი.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალის აღდგენის დროს, აქტივის საბალანსო ღირებულება (ან ფულის მაგენერირებელი ერთეული) იზრდება აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ აღდგენითმა ღირებულებამ არ გადააჭარბოს აქტივის (ფულის მაგენერირებელი ერთეულის) საბალანსო ღირებულებას, წინა პერიოდებში გაუფასურებამდე.

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალის აღდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მოხდენისთანავე.

მარაგები

კომპანიის მარაგები მოიცავს გასაყიდად გამიზნულ საქონელსა და სხვა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს. მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვი შედგება დამფუძნებლის შემონატანისაგან, რომელიც კომპანიამ მიიღო დროებითად, ნაღდი ფულადი სახსრების დეფიციტის შესავსებად.

18. პირითადი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც პერიოდის შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოიშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

18. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.